www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 14 ივლისი, 2012 წელი. | №3064 (157) | ფასი 50 თეთრი

მსგავსი პროგრამები და განსხვავებული საარჩევნო პერსპექტივა

დათო გამისონია

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც კოალიცია "ქართული ოცნების" შემადგენლობაში არ არიან, წინასაარჩევნოდ საზოგადოების პოლარიზების გამო წუხილს გამოთქვამენ. ისინი მიიჩნევენ, რომ "ნაციონალური მოძრაობისა" და კოალიცია "ქართული ოცნების" გარდა, საზოგადოებას სხვა არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა ჰქონდეს. თუმცა, საინტერესოა, საზოგადოება რა არჩევანის წინაშე დგას. ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოფლის მეურნეობის, საყოველთაო დაზღვევის, ვაუჩერების, პენსიის გასაზრდელად და დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად მილიარდობით ლარის დახარჯვის ინიციატივით გამოდის. კოალიცია "ქართულ ოცნებაში" მიიჩნევენ, რომ მერაბიშვილმა მათი პროგრამა გადაწერა(?!).

"ახალი მემარჯვენეების" წვერი მანანა ნაჭყებიაც მიიჩნევს, რომ პრობლემების წამოწევაში პირველი სწორედ მისი პარტია იყო. **"ბუნებრივია, განსხვავებული ვერავინ იქნება. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის ამოსავალი ის პრობლემებია, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. განსხვავებული ის არის, რომ "ახალმა მემარჯვენეებმა" პრობლემები ყველაზე ადრე წამოწიეს,"** - ამბობს "24 საათთან" საუბარში მანანა ნაჭყებია. მისი აზრით, დღეს ხელისუფლება და "ქართული ოცნება" ყველაზე აქტიურად სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ საუბრობენ. **"როდესაც ეს ორი ძალა ერთმანეთს ექიშპება, თუ ვინ ვისგან გადაიწერა, სამწუხაროდ, არ ახსენდებათ, რომ ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბერში "ახალ მემარჯვენეებს" ეს თემები პრიორიტეტებად ჰქონდათ გამოკვეთილი.**

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ომბუდსმენი კარალეთის ინციდენტის ეფექტურ გამოძიებას ითხოვს

სოფელ კარალეთის დევნილთა ჩასახლებაში მომხდარი ინციდენტის დროს დაშავებულები გორის საავადმყოფოდან გაწერეს. კოალიცია "ქართული ოცნების" ადვოკატები საქართველოს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას მიმართავენ და არა მხოლოდ ინციდენტში მონაწილე პირების, არამედ, გორის საავადმყოფოს "გორმედის" ხელმძღვანელებისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლების დასჯასაც მოითხოვენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

სასაკლაო ჰამას პროვინციაში

ხათუნა გაბიევი

სირიაში ბაშარ ასადის დანაშაულებრივ საქმიანობათა ნუსხას კიდევ ერთი სასაკლაო დაემატა - არმიამ სოფელი ტრემსი მთლიანად გაანადგურა, დაღუპულია 220 ადამიანი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა მშვიდობიანი მცხოვრებია. ავიაციით და არტილერიით დაბომბვას ტანკებით შეტევა მოჰყვა, რის შემდეგაც ბაშარ ალ-ასადის სადამსჯელო რაზმი - ე.წ. შაბიჰის მილიცია ხალხის მასობრივად სიკვდილით დასჯაზე გადავიდა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ციხესულორის არქეოლოგიური აღმოჩენები

ბელა ჩეკურიშვილი

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტურმა ექსპედიციამ, პროფესორ გურამ ყიფიანის ხელმძღვანელობით, 5 მაისიდან 5 ივლისამდე იმერეთში, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა და ანტიკური ქალაქის სურიონის, იმავე სურიომის ფენები აღმოაჩინა.

როგორც გურამ ყიფიანი გვიხსნის, თეორიული კვლევებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციხესულორი იგივეა, რაც პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები კოლხური ქალაქი სურიუმი და კლავდიუს პტოლემაოსის მიერ ნახსენები და კოორდინატებით განსაზღვრული ქალაქი სურიონი. "აქ ადვილი მისახვედრია, რომ ლათინური და ბერძნული სახელები ერთ ფუძეზე "სურ"-ზე დგას, ისევე როგორც ქართული ტოპონიმი. კლავდიუს პტოლემაოსი კოლხეთში 10 ქალაქს საზღვრავს კოორდინატებით - გრადუსებით და მინუტებით. მათ შორის ქალაქ ფაზისს და სურიონს. თუკი დღევანდელი ფოთის მიდამოებს ფაზისის კოორდინატებს მივანიჭებთ, ხოლო სოფელ ციხესულორს - სურიონისას, აღმოჩნდება, რომ ეს ვექტორები აბსოლუტურად ემთხვევა მათ თანამედროვე ვექტორს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6559⇓
1 ევრო	2.0182⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5572⇓
1 თურქული ლირა	0.9101⇓
100 რუსული რუბლი	5.0612⇓

თბილისი	31°C - 21°C
ქუთაისი	32°C - 20°C
თელავი	32°C - 17°C
ზუგდიდი	29°C - 19°C
ბათუმი	27°C - 18°C

ნავთობი	2.80	+0.02	+0.85%
გაზი	2.89	+0.01	+0.52%
ოქრო	1,592.50	+27.20	+1.71%
ხორბალი	850.75	+4.00	+0.47%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ერევანში "ბახმაროს" შეაფასებენ

კინოფესტივალი "ოქროს გარგარი" ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივას წარმოადგენს

ია ვეკუა

თითქმის ერთი კვირაა, რაც სომხეთის დედაქალაქი საერთაშორისო კინოფესტივალ "ოქროს გარგარს" მასპინძლობს. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოქმედი სამი კინოფესტივალიდან ერთ-ერთი (დანარჩენი ორი თბილისისა და ბათუმის ფესტივალებია) ქართულ კინოსაც წარმოადგენს, ხოლო დოკუმენტური კინოს სექციის ჟიურის წევრი რეჟისორი ნანა ჯანელიძეა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



კადრი ფილმიდან "ბახმარო"

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

პრესმბჯუდსმენი

უცნობი

ნოდარ ლადარია

Sapientia precedit religio sequitur, quia prius est Deum scire, consequens colere — "ცოდნა წინ უსწრებს, სარწმუნოება კი მისდევს, რადგან პირველი ღვთის შემეცნებაა, შემდგომი კი მიღება".

ასე წერდა მესამე-მეოთხე საუკუნეების ქრისტიანი აპოლოგეტი, ლაქტანციუსი. ძნელია არ დაეთანხმო, მით უმეტეს, როცა გახსენდება პავლე თარსელის სიტყვა, ათენში წარმოთქმული. წარმართთა მოციქულმა ასე დაიწყო: "კაცნო ათენელნო, ყველაფერში გატყობთ, რომ ძალიან მორწმუნენი ხართ, ვინაიდან როცა გავიარე და დავათვალიერე თქვენი სათაყვანო ადგილები, ვნახე სამსხვერპლოც, რომელსაც აწერია: *უცნობ ღმერთს*. მე გიქადაგებთ მას, ვისაც არ იცნობთ და ეთაყვანებით" (საქმე მოციქულთა, 17 : 22-23). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი დასაწყისი მსმენელთა მოსაზიდი ერთგვარი საშუალებაა — მართალიც არის. ამ ხერხს რიტორიკაში თავისი საპატიო ადგილიც მოეპოვება და კეთილგანწყობის დაჭერა ჰქვია, მაგრამ დაჭერა საქმის მხოლოდ მცირე ნაწილია: ვერავინ შეინარჩუნებს ტყუილით ან უქმი ლაპარაკით დაჭერილ კეთილგანწყობას. ჰოდა, მოციქულიც არ მისდევს წუთიერ მიზნებს, არამედ საუკუნეთა მიღმიდან გვეუბნება: სრულიად უსარგებლოა მოწიწება და თაყვანისცემა, რომელიც ცოდნაზე არაა დამყარებული.

ვერ იწოდები ქრისტიანად, ვიდრე ღმერთს არ იცნობ. პირველი საუკუნეების ქრისტიანობა გამსჭვალული იყო იდეით, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის ცნობა. ამ იდეის ერთ-ერთი კვალი შეიძლება ვნახოთ რუსეთში, სადაც ქალაქ სერგიევ პოსადში, მოსკოვის სასულიერო აკადემიის მახლობლად, საკათედრო ტაძრის გუმბათის ყელს ამშვენებს ოქროს ასოებით გამოყვანილი სლავური მიძღვნა: "ნაცნობ ღმერთს"...

დროთა განმავლობაში ამ ხალასი იდეის ნაკვალევი სულ უფრო იშლება ქრისტიანთა ცხოვრებიდან... იქნებ დავკარგო კიდეც მკითხველის უკვე დაჭერილი კეთილგანწყობა, თუ ვიტყვი, რომ ამ ვრცელი შესავლის საბაბი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის ბოლო სხდომა. უფრო სწორად კი, ერთი ფრაგმენტი მისი საბოლოო დადგენილებიდან.

ეს ფრაგმენტი ასე გამოითქმის: "სადღეისოდ წარმოდგენილი ID ბარათის ვერსია საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამ ბარათით სარგებლობა. მაგრამ, რადგან ეს საკითხი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები".

ზოგი ამ დადგენილებაში უმეცრებისა და სიბნელის დამარცხებას ხედავს, ზოგიც ამტკიცებს, რომ საპატრიარქო ხელისუფლების გავლენის ქვეშაა მოქცეული. ჩვენ კი თავს ავარიდებთ ზედაპირულ მიდგომებს, არც უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე შევჩერდებით და მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ: ის გარემოება, რომ დადგენილება მხოლოდ "სადღეისოდ წარმოდგენილ" საბუთებს გულისხმობს, სიბნელის გადამწყვეტ დამარცხებას სათუოს ხდის. ბოლოს და ბოლოს, არც იმას ვიკითხავთ, რას ნიშნავს "ალტერნატიული პიროვნება"... ჩვენი საზრუნავი ამჯერად სხვაა.

ამისთვის კი წავიკითხოთ შემდეგი ტექსტი, რომელიც ახლახან მოვიფიქრე: "არითმეტიკული და ზოგადად მათემატიკური აქსიომატიკის დღევანდელი ვერსიის თანახმად, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება". შეიძლება თუ არა ეს სიტყვები შეადგენდეს, მაგალითად, რომელიმე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებას? — პასუხი ცხადი და აშკარაა: ასეთ აბსურდს ვერც ერთ აკადემიურ დოკუმენტში ვერ შევხვდებით. მაგრამ რატომ? — იმიტომ, რომ პროფესორთა და სტუდენტთა კორპორაცია, რომელსაც წარმოადგენს უნივერსიტეტი, თავისთავად გულისხმობს კომპეტენციის დონეს, რომლის ქვემოთ მდებარე საკითხები არც კი განიხილება.

საღვთისმეტყველო კომპეტენციის, ან უფრო ადეკვატურ ენაზე რომ ვთქვათ, ღვთის შემეცნების რა დონეს გულისხმობს სინოდის დადგენილების ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი? ყველაზე ტრაგიკომიკული იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი და მხურვალე დებატების შედეგად მიიღეს. თუმცა ამის აღმოჩენა ნაკლებად რეალურია, რადგან ჩვენი სინოდის სხდომათა შინაარსი და მიმდინარეობა უფრო მეტად ხელმიუწვდომელია, ვიდრე მსოფლიო საეკლესიო კრებათა ოქმები.

მაგრამ პრობლემა ამაზე ბევრად მნიშვნელოვანია და თანაც მრჩობლი, ანუ ორი ნაწილისაგან შემდგარი.

ჯერ ერთი, გულისხმობს მრევლის სრულ გაუნათლებლობას... ეს ბოლო სიტყვა, რომელსაც ძალიან მიეჩვია ქართველი კაცი — იმდენად, რომ ლამის თვითგვემის ჩვეულ ელემენტად აქცია — ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან მძიმე საზრისს ატარებს. არა, აქ ჩვეული ბედოვლათობა და საქმისაგან შორს ყოფნა კი არ იგულისხმება, არამედ ის, რომ ჩვენი მტკვარსა და შავ ზღვაში მასობრივად და ადრიანად მონათლული, გვარ-ჯილაგ ნაკურთხი და ღვთისმშობლის წილხვედრი ქართველობა თავის ღმერთს არ იცნობს, სულთა გარჩევის უმარტივესი უნარი არ გააჩნია და დარწმუნებულია, რომ ჯვარცმული იესოს კეთილგანწყობას სამარხვო მაიონეზით მოიპოვებს.

რელიგიური უმეცრებისა და უკულტურობის ამ სიბრტყეზე ერთმანეთს ხვდებიან შარვლიანი ქალების მოძულე სულიერი ბოგანო, სტიქაროსანი ბანკირი და ჩინოვნიკი, რომლისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ავტომობილი ზედ მიხატული ჯვრის წყალობით საეჭვოდ ჰგავს რომელიმე საბჭოთა ფილმიდან გამოპარულ ვერმახტის ჯავშანმანქანას...

პრობლემის მეორე მხარე კი მოყვანილი ციტატის მეორე წინადადებაში უნდა ვეძებოთ: თურმე ციფრული საბუთების საკითხი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რომელ საზოგადოებაში? და ვინ შემოიტანა ეს "აზრთა სხვადასხვაობა"? განა ამავე სინოდის წევრები და მათი ხელდასხმული მღვდლები არ იყვნენ, ვინც პირველებმა ამცნეს ეს სისულელე საკუთარ სამწყოს?

გასაოცარია! — თვითონვე ამღვრევენ წყალს, მერე ხელს იბანენ, შეთქმულებივით თვალს გვიპაჭუნებენ და ჩურჩულით გვეუბნებიან: "ბიჭებო, ჩვენ და თქვენ ხომ ვიცით, რომ სისულელეა, მაგრამ მაინც ისე გააკეთეთ, ვითომ მართალია, თორემ მტრისას ამათთან საქმის დაჭერა"... ვიღაც იტყვის, რომ ეს რაღაც საღვთო იკონომიის გამოხატულებაა, რომ ამგვარი ორაზროვნებითა და ორპირობით ეკლესიის ერთიანობას ინარჩუნებენ...

ჩვენ კი ვიკითხავთ: რომელ ერთიანობას? იმას, რომელიც თავის თავში ორ საწინააღმდეგო დებულებას იტევს, რომელიც ქრისტესა და ბელიარის შერიგებას ცდილობს? მთელი ეს მილენარისტული კრეტინიზმი, ID ბარათების, დოლარის სიმბოლიკის თუ გლობალიზაციის ნიადაგზე ატეხილი აურზაური ძველ სტილზე აწყობილი ბერძნული სექტებიდან მომდინარეობს, თუმცა აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ველურ სექტებს ეყოთ იდეური ძალა და თანმიმდევრულობა იმისათვის, რომ ეკლესიის სხეულს გამოჰყოფოდნენ. ჩვენს ბნელებს კი განხეთქილებაში წასასვლელად ჯიგარი არ ჰყოფნით, მათ ერთადერთი რამ შეუძლიათ: ვიღაცის დაპირებებით თუ ცოცხალი ფულით შეგულიანებულებმა დააბრკოლონ ობლად დარჩენილი მრევლი და უსუსურად უბღვირონ ქრისტესმიერ ძმებს, რომლებსაც სამთავრობო ღვეზელის უფრო დიდი ნაჭერი შეხვდათ.

ომბუდსმენი კარალეთის ინციდენტის ეფექტურ გამოძიებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

კოალიცია "ქართული ოცნების" ადვოკატი თედო კობახიძე აცხადებს, რომ მედიცინის მუშაკებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დაშავებულები სასწრაფოდ გაეწერათ საავადმყოფოდან.

"მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მცდელობისა, ვერ შევძელით მოგვეპოვებინა დაშავებულების ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, ანუ "ფორმა ასი". დაშავებული ადამიანები ექიმებმა უმოკლეს დროში გაწერეს ისე, რომ "ფორმა ასი" არ შეუვსიათ. როდესაც მოვითხოვეთ დოკუმენტები, საბუთები უკვე გაჩნდა, თუმცა პირადობის მოწმობების ასლების გარეშე, რაც აუცილებლად უნდა ერთვოდეს ამ დოკუმენტს," - განაცხადა ადვოკატმა თედო კობახიძემ.

კარალეთში მომხდარი ინციდენტის სასწრაფო გამოძიებას ითხოვს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუშიც

"მოვუწოდებ სამართალდამცველ ორგანოებს, დაუყოვნებლივ ჩაატარონ სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებები სამართალდამრღვევ პირთა იდენტიფიცირების მიზნით," - ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

კარალეთში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ომბუდსმენის აპარატის წევრები ახსნა-განმარტებებისა და ინფორმაციის მოპოვებას განაგრძობენ.

ადეკვატური სამართლებრივი რეაგირებისგენ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც".

"სამწუხაროდ, ინციდენტის დროს შემთხვევის ადგილზე პოლიცია კვლავ არ იმყოფებოდა. მერეთისა და დირბის ინციდენტის შემდეგ, ეს არის მორიგი შემთხვევა, როდესაც პოლიცია ვერ ახერხებს მისთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შესრულებას - მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების კონტრდემონსტრანტებისაგან დაცვას. შეკრების მონაწილეთა მიმართ ძალადობისას პოლიციის ეფექტური ჩარევის არარსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა," - აცხადებენ ასოციაციის წევრები.

საია მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მომავალში მშვიდობიან აქციაზე საზოგადოებრივი წესრიგი დაიცვას.

კარალეთში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირებიდან რამდენიმე საათში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, გამოძიება დაწყებულია და პოლიციის მიერ ხორციელდება მომხდარ ფაქტში მონაწილე პირების იდენტიფიცირება.

სასამართლომ გამგეობის აქტი გააუქმა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მარინა ქისიშვილის სარჩელი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის და თბილისის მერიის მიმართ. მოსარჩელე მათ მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობასა და ახალი აქტის გამოცემას ითხოვდა.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა და მოითხოვა მისთვის, როგორც ერთადერთი კანონიერი მოსარგებლისათვის ამავე რაიონში მდებარე ერთერთი საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. მოსარჩელის მითითებით სადავო ქონებაზე სხვა პირებს პრეტენზია არ გააჩნდათ. გამგეობამ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, იმ საფუძველით, რომ წარდგენილი დოკუმენტები არ ადასტურებდა არაპრივატიზებული, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებზე მარინა ქისიშვილის კანონიერი სარგებლობის უფლებას. სწორედ, ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიიჩნია მოსარჩელემ უკანონოდ და გაასაჩივრა თბილისის მერიაში. მერიის გადაწყვეტილებითაც, მას კვლავ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის შემდეგაც, მარინა ქისიშვილმა სასამართლოს მიმართა.

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და საბოლოოდ, მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მარინა ქისიშვილს სადავო ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარი ეთქვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა საკითხის ხელახალი შესწავლა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი დისტანციური დაკითხვა თბილისის საქალაქო სასამართლოში

თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიდეოკონფერენციის მეთოდის გამოყენებით პირველად ჩატარდა სასამართლო პროცესი, რომელზეც საქმის განხილვა დასრულდა.

მოსამართლე გიორგი ტყავაძემ, რომელიც დროებით მივლინებულია მცხეთის რაიონულ სასამართლოში, სასამართლო სხდომა მხარეთა თანხმობით ვიდეოკონფერენციის საშუალებით გამართა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მოსამართლე უფლებამოსილია მისი გადაწყვეტილებით, მიმდინარე პროცესში მხარემ დისტანციური მეთოდით მიიღოს მონაწილეობა - სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის გამოყენებით.

ვიდეოკონფერენციის სისტემა უზრუნველყოფს პირის ფიზიკური დასწრების სრულ იმიტაციას. ამ მეთოდით სარგებლობა შეუძლია საქმის მონაწილე ნებისმერ პირს. სასამართლოში თანამედროვე ტექნილოგიის დანერგვით, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ სწრაფად და მარტივად განახორციელონ საკუთარი უფლებების დაცვა.

ცოტა ხნის წინ ქუთაისის საააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაც კერძო პირსა და შპს "მატრიქსს" შორის ვიდეოკონფერენციის გამოყენებით ჩატარდა. მოპასუხე მხარის - შპს "მატრიქსის" ადვოკატი სარჩელის განხილვის პროცესში თბილისის ოფისიდან დისტანციურად ჩაერთო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა დაცვის მხარემ საქმის განხილვის გამარტივებული მეთოდით ისარგებლა.

ცოტა ხნის წინ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ასევე, ვიდეოკონფერენციის საშუალებით, საქართველოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ექსპერტი დაიკითხა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მსგავსი პროგრამები და განსხვავებული საარჩევნო პერსპექტივა

პირველი გვერდიდან

დავინახეთ, რომ პრობლემა იყო სოფლის მდგომარეობა, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, განათლების დაბალი ხარისხი და ხელმიუწვდომლობა, უმუშევრობის მაღალი დონე, მცირე და საშუალო ბიზნესის სავალალო მდგომარეობა. ეს ყველაფერი ჩვენი პოლიტიკის დოკუმენტში ჩაიდო. ამას კიდევ ერთი თემა - მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა დაემატა. მას არც ვანო მერაბიშვილი და არც პრეზიდენტი ერთი სიტყვითაც არ შეხებიან. ეს იმის გამო ხდება, რომ მონოპოლიები მათი შექმნილია," - ამბობს მანანა ნაჭყებია.

"ახალი მემარჯვენეები" ამომრჩეველთა პოლარიზებასაც ეწინააღმდეგებიან. როგორც მანანა ნაჭყებია ამბობს, ქვეყნის სტაბილური განვითარების გარანტი მრავალპარტიული პარლამენტია. მანანა ნაჭყებიას თქმით, ერთი აბსოლუტური ძალაუფლების მქონე ლიდერის მეორე ასეთივე ლიდერით შეცვლა ქვეყანას არაფერს მოუტანს.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებში "ახალი მემარჯვენეების" შანსებს, მანანა ნაჭყებიას თქმით, ის ფაქტი, რომ ელექტორატის მესამედი ხელისუფლებას უჭერს მხარს, ხოლო მესამედი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", მიანიშნებს, რომ "ახალი მემარჯვენეების" მოქმედების არეალი დარჩენილ ერთ მესამედშია. როგორც ნაჭყებია ამბობს, კოალიციისგან განსხვავებით, რომლის ლიდერი აცხადებს, რომ უმრავლესობით უნდა მოვიდეს, "ახალი მემარჯვენეები" 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის ამბიციას გამოხატავენ. თუმცა, ნაჭყებია დასძენს, რომ "მემარჯვენეებს" შანსი აქვთ, პარლამენტში უფრო დიდი წარმომადგენლობით შევიდნენ. **"ჩვენ ყოველთვის სტრუქტურებზე დაყრდნობით ვიმარჯვებდით. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე არჩევნებში მონაწილეობა მიგვეღო და ბარიერი არ გადაგველახა,"** - ამბობს მანანა ნაჭყებია.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ "24 საათს" უთხრა, რომ ედპ ქართულ საზოგადოებას მესამე გზას სთავაზობს, რომელიც პოლარიზებას უპირისპირდება. **"მიგვაჩნია, რომ პოლიტიკა იდეების ჭიდილია და არა მტრობა. ჩვენ დასავლეთზე ვართ ორიენტირებული და ზომიერ პოლიტიკურ ხედვებს ვაღიარებთ,"** - ამბობს ბაჩუკი ქარდავა. თუმცა, განსხვავებული პრიორიტეტები არც "ეროვნულ დემოკრატიული პარტიის" პროგრამაშია. ბაჩუკი ქარდავა აღნიშნავს, რომ ბევრი პარტიის პროგრამაში იდენტური საკითხებია თავმოყრილი. **"ამას საფუძვლად კვლევები დაედო. ყველამ იცის, რომ მთავარი პრობლემები უმუშევრობა და ჯანდაცვის საკითხებია. ამიტომ, პარტიებმა პრიორიტეტებად ის პრობლემები გამოკვეთეს, რომლებიც ხალხს აწუხებს,"** - ამბობს ბაჩუკი ქარდავა.

ქარდავას თქმით, ედპ-ს პროგრამაში განსხვავება შეიძლება განხორციელების გზები იყოს. **"ამ იდენტური პროგრამების პირობებში "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" აკეთებს გზავნილს: პროგრამები უნდა განხორციელდეს არა ვირტუალურ საქართველოში, არამედ ამ საქართველოში და ახლავე,** - ამბობს ბაჩუკი ქარდავა, - **ორივე მხრიდან ფინანსების ბრახა-ბრუხი, რაც "ქართულმა ოცნებამ" დაიწყო, ნამდვილად საკმარისი არ არის. თუ სწორ ნაბიჯებს არ გადადგამენ, შეიძლება, ვერც ხელისუფლებამ და ვერც ბიძინა ივანიშვილმა პროგრამები ცხოვრებაში ვერ გაატარონ."**

არჩევნებზე "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" შანსების შესახებ დასმულ კითხვას, ბაჩუკი ქარდავა ასე პასუხობს: **"როცა საზოგადოება ორად არის გაყოფილი, ჩვენი შანსები რა მოსატანია. ჩვენი შეფასებით, სამწუხაროდ, საქართველოს აქვს ცუდი შანსი."** ქარდავას თქმით, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" ერთი და ორი არჩევნებისთვის შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის და გაჩერებას არ აპირებს. **"ჩვენ ადამიანური რესურსის მობილიზება მოვახდინეთ და ფინანსური რესურსის მაქსიმალურად მობილიზებას ვცდილობთ. ჩვენი პროგრამის და მხარდამჭერების გვჯერა. დანარჩენს არჩევნები გამოავლენს,"** - ამბობს ბაჩუკი ქარდავა.

"ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა "24 საათთან" საუბარში აღნიშნავს, რომ **"არჩევნების წინ ყველა ნაძირალა, როგორც წესი, "ლეიბორისტი" ხდება, საზოგადოებას "ლეიბორისტების" იდეებს სთავაზობს, მაგრამ სოციალური სამართლიანობის პოლიტიკის გატარება მხოლოდ "ლეიბორისტულ პარტიას" შეუძლია. შეუძლებელია, ოლიგარქები ულტრამემარცხენე სოციალისტები იყვნენ. "ქართული ოცნების" და "ნაციონალური მოძრაობის" დაპირებები რეალობასთან ახლოსაც არ არის."**

გიორგი გუგავას თქმით, "ლეიბორისტული პარტიის" პროგრამა საზოგადოებისთვის ცნობილია. **"ჩვენი მამოძრავებელი ღერძი სოციალური სამართლიანობაა. მდიდარი გაკონტროლებული უნდა იყოს და ღარიბი დაცული. საზოგადოების ფართო ფენებს უფასო განათლების და უფასო ჯანდაცვის მიღების საშუალება უნდა ჰქონდეთ. სიდუხჭირეში მცხოვრები ფენების, უმუშევრების შემოსავალი საარსებო მინიმუმს უნდა აღწევდეს. სანამ ღირსეული სამუშაო ადგილი არ ექნებათ, სახელმწიფომ მათთვის დოტაცია უნდა გამოყოს. აქედან გამომდინარე, მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა უნდა გამოცხადდეს. არა ისე, რომ 2-10 მილიარდ დოლარს ჩადებენ და "ვასიუკის" დასახლებას გააკეთებენ. სინამდვილეში, სოფლის მეურნეობის დახმარება მაშინ არის შესაძლებელი, როცა ახალი პროდუქციის გასაღების არეალი გაიხსნება. ჩვენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას ვფიქრობთ. ამასთან, პროდუქცია დაცული უნდა იყოს გარე კონკურენციისგან. იმისთვის, რომ გენური ინჟინერიით წარმოებული პროდუქცია არ შემოვიდეს, თურქეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უნდა გადაიხედოს. სოფლის მეურნეობისთვის გამოსაყენებელ საწვავზე კი დემპინგური, დაბალი ფასები უნდა დაწესდეს. სოფლად სამეურნეო ტექნიკის სპეციალური ბაზები უნდა გაიხსნას. ამავე დროს, საჭიროა მცირე ბიზნესის დაკრედიტება დაბალი პროცენტით, ხშირ შემთხვევაში კი - უპროცენტოდ,"** - აცხადებს გიორგი გუგავა.

"ლეიბორისტები" თავიანთი პროგრამის შესასრულებლად მდიდრების გადასახადის დაწესების იდეით გამოდიან. გიორგი გუგავა ამბობს, რომ ყველა, ვინც მილიონიან ქონებას ფლობს და შემოსავალი 100 000 ლარზე მეტი აქვს, მაღალი გადასახადით უნდა დაიბეგროს. მისი თქმით, ეს წამყვან ევროპულ ქვეყნებში აპრობირებული პრაქტიკაა, ხოლო აშშ-ში მილიარდერი უილიამ ბაფეტიც ამ ინიციატივით გამოვიდა. **"მდიდრების კასტა, რომელმაც სხვადასხვა მანიპულაციებით ქონება ხელში ჩაიგდო და ბიზნესის მონოპოლიზება მოახდინა, უნდა დაიბეგროს,"** - ამბობს გიორგი გუგავა.

გუგავა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საზოგადოება "ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" მხარდამჭერებად არის დაყოფილი. გიორგი გუგავას მტკიცებით, "ნაციონალური მოძრაობა" და "ქართული ოცნება" თვისობრივად ერთ ძალას წარმოადგენენ. გუგავას თქმით, მათ ერთიანი კრიმინალური წარსული და ოლიგარქიული მიდრეკილებები აქვთ. ისინი პოლიტიკური ველის ხელოვნურად გადანაწილებას ცდილობენ. **"არჩევნების წინ დაპირებების, უფრო სწორად, ხალხის მოტყუების ერთნაირი მეთოდოლოგია შეიმუშავეს. ისინი დაპირისპირებას ხელოვნურად აღვივებენ, რათა საზოგადოების ყურადღება ერთი ძალისკენ იყოს მიმართული. სურთ მოტყუების გზით ძალაუფლების გადანაწილება და კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბება. ამ იდეის განსახორციელებლად ერთმანეთს ქვებსაც კი ესვრიან. ქვების სროლა 2003 წელსაც ვნახეთ, მაგრამ ახლა შევარდნაძე ამბობს, რომ სააკაშვილს ხელისუფლება ლანგრით მიართვა,"** - ამბობს გიორგი გუგავა.

შალვა ნათელაშვილის თანაპარტიელი მიიჩნევს, რომ საქართველოში არჩევანი ასეთი უნდა იყოს: ეროვნული და სოციალური სამართლიანობის მქადაგებელი ძალა - "ლეიბორისტული პარტია" და სხვა დანარჩენი. მისი თქმით, "ლეიბორისტულ პარტიას" გამარჯვების შანსი ყოველთვის ჰქონდა. **"სამწუხაროდ, ძალადობრივი რეჟიმის და ტოტალური გაყალბების პირობებში შედეგები უშუალოდ მანდატების რაოდენობაში არ აისახებოდა,"** - ამბობს გიორგი გუგავა.

გუშინ "ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" ქუთაისის სპორტის სასახლეში ფორუმი გამართა და შეკრებილ მხარდამჭერებს პროგრამა გაცნო. ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ "24 საათს" უთხრა, რომ "ქრისტიან-დემოკრატები" არჩევნებზე 10 ნომრით იქნებიან და მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ 2014 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 10 მილიარდ ლარამდე გაზარდონ. ვეფხვაძემ პარტიის ახალი სლოგანიც ახსენა. **"ეს თანხა, ისე უნდა გადანაწილდეს, რომ შვილებს განათლება, მშობლებს დასაქმება და პენსიონერებს დაფასება ჰქონდეთ,** - აღნიშნავს ვეფხვაძე და თვითონვე დასძენს - **"ქრისტიან-დემოკრატების" პროგრამაში ახალი არაფერია."**

ვეფხვაძის თქმით, "ქრისტიან-დემოკრატები" წლების განმავლობაში პარლამენტში დებატებს ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის და განათლების სფეროების პრობლემებზე საუბრით იწყებდნენ. **"თუ ვინმეს ეს არ ახსოვს, მისი მეხსიერების პრობლემაა. ჩვენ ახლა ახალი არაფერი გაგვიკეთებია. ბევრმა გულწრფელად აღიაროს, სად იყო მაშინ, როცა ჩვენ 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაორმაგებას და გასამმაგებას მოვითხოვდით. მაგდა ანიკაშვილი ჯანდაცვის კონკრეტული პროგრამების შესახებ საუბრობდა, მათ შორის პენსიის გაზრდის, დევნილების დაფინანსების, ბავშვების, პენსიონერების დაზღვევის აუცილებლობაზე. მე პირადად სახელმძღვანელოების დარიგებას ვითხოვდი. ეს ცოცხალი ისტორიაა, რომელიც ჩვენ შევქმენით. თუ ვინმე ჩვენს იდეებს აიღებს, კი არ ვიტყვით, რომ ჩვენი პროგრამა გადაწერა, არამედ გავახსენებთ, რომ "ქრისტიან-დემოკრატები" წლების განმავლობაში სწორ პოზიციაზე ვიდექით,"** - აცხადებს ლევან-ვეფხვაძე.

ვეფხვაძე საქართველოში პოლიტიკური განწყობის პოლარიზებას უარყოფითად აფასებს. მისი თქმით, ამას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ცნობილი დიპლომატები ქვეყნისთვის საფრთხედ აღიქვამენ.

"ჩვენთვის მთავარი კონკურენტი და საფრთხე "ქართული ოცნების" მხარდამჭერთა თავპირის მტვრევაა. საფრთხე ჩვენთვის და ქვეყნისთვის ერთნაირად დგას. ამის დასასრული შეიძლება ფართომასშტაბიანი სამოქალაქო დაპირისპირება იყოს, რასაც არავის ვუსურვებ. ჩვენ გვინდა, ნაბიჯი წინ გადავდგათ და არა უკან - 1990-იანი წლებისკენ. ყველაზე მთავარი ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნებაა. ჩვენ არ გვჭირდება მიდგომა - ოღონდ ეს კაცი (სააკაშვილი) არ იყოს და ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა. ჩვენ ოპონენტები ვართ, მაგრამ არა ქვეყნის ოპონენტები. "კავკასიური ცარცის წრის" არ იყოს, ხელს გაუშვებს ის, ვისაც ქვეყანა ყველაზე მეტად უყვარს," - ამბობს ლევან ვეფხვაძე.

არჩევნებზე "ქრისტიან-დემოკრატების" პერსპექტივის შესახებ საუბრისას ვეფხვაძე თავისი პარტიის ფორუმს იმოწმებს, რომელიც გუშინ ქუთაისში გაიმართა. **"აქამდე ამხელა შეკრება არ გვქონია. 5000 კაცზე მეტი მოვიდა. ვირწმუნე, რომ მომავალ პარლამენტში სერიოზულად ვიქნებით წარმოდგენილები - უმრავლესობით ან დიდი ფრაქციით. დღეს იმაზე მეტი მხარდაჭერა გვაქვს, ვიდრე 2008 და 2010 წლების არჩევნებზე,"** - აღნიშნავს ლევან ვეფხვაძე.

მერაბიშვილმა საგარეჯოს სამედიცინო ცენტრი დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ საგარეჯოს ახალი სამედიცინო ცენტრი დაათვალიერეს. მინისტრებმა კლინიკაში მყოფი პაციენტები მოინახულეს და მათი პრობლემებით დაინტერესდნენ.

მოგვიანებით პრემიერი და ჯანდაცვის მინისტრი სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებს შეხვდნენ. ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ჭიაბერაშვილმა სამედიცინო პერსონალს საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა გააცნეს და ექიმებთან ჯანდაცვის რეფორმის ძირითადი მიმართულებები განიხილეს.

შეხვედრისას პრემიერმა ჯანდაცვის ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე, ჯანმრთელობის დაზღვევის ახალ სახელმწიფო პროგრამასა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ნათელაშვილი ევროპარლამენტის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს შეხვდა

"საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი პარტიის ოფისში ევროპარლამენტის წევრს, ევროპარლამენტის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე კრისტიან ვიგენინს შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს შეეხო. ასევე, განიხილეს წინასაარჩევნოდ არსებული პრობლემები, რომლებიც მედიას, სახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და ამომრჩევლის მოსყიდვის მიზნით წინასაარჩევნოდ მილიარდების შემოდინებას ეხება.

კრისტიან ვიგენინმა განაცხადა ევროკავშირის მზადყოფნის შესახებ პოლიტიკური პარტიების დასახმარებლად და დაადასტურა, რომ ამომრჩევლის პოლიტიკური სიმპათია ზეწოლის გარეშე ზუსტად უნდა აისახოს საპარლამენტო არჩევნებში.

დაკარგული ტურისტები იპოვეს

ტურისტთა 18-კაციანი ჯგუფი, რომელსაც ოჯახის წევრები რამდენიმე დღე ვერ უკავშირდებოდნენ, იპოვეს. ყველა მათგანი თავს კარგად გრძნობს.

ტურისტთა ძებნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა და დაბა ხაიშის პოლიციამ მათი ოჯახების შეტყობინების შემდეგ დაიწყეს და ხაიშიდან 25 კილომეტრზე, სოფელ ზედა ვედის ტყეში მიაკვლიეს.

ტურისტთა ჯგუფი რამდენიმე დღის წინ ჩხოროწყუს რაიონის მუგელას ხეობიდან ტობა ვარჩხილის ტერიტორიაზე გადავიდა. მოგვიანებით კი ისინი სვანეთისკენ დაიძრნენ და ბოლო ხუთი დღის განმავლობაში მათთან დაკავშირებას ვერავინ ახერხებდა.

ედპ-ს ლიდერები უწყებათაშორის კომისიას შეხვდნენ

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერები ბაჩუკი ქარდავა და გურამ ჩახვაძე უწყებათაშორის კომისიას შეხვდნენ. პარტიის ინფორმაციით, ედპ-ს ლიდერებმა გიგა ბოკერიასთან შეხვედრისას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის საკითხებზე ისაუბრეს.

საუბარი შეეხო წინასაარჩევნო პერიოდში სამართლიანი და კონკურენტული გარემოს აუცილებლობასაც, რომელმაც არჩევნების მშვიდობიან და დემოკრატიულ პირობებში ჩატარება უნდა უზრუნველყოს.

ასევე ყურადღება გაამახვილეს პოლიტიკური პროცესების პოლარიზებაზე, რაც, პარტიის შეფასებით, საფრთხეს უქმნის არჩევნების კონკურენტულ გარემოში ჩატარებასა და ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი სწორედ უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაა.

აშშ-მ და საქართველომ შეთანხმება გააფორმეს

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს საგრანტო შეთანხმებას 2.7 მილიონი დოლარის ღირებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარების შესახებ.

საქართველოში აშშ-ს საელჩოს ცნობით, საქართველოს მთავრობამ უკე გახსნა ანგარიში Millennium Challenge Account - Georgia (MCA-Georgia), რათა უახლოესი თვეების განმავლობაში გრანტის ადმინისტრირებასა და კომპაქტის საბოლოო პროექტის მომზადების საკითხები უზრუნველყოს.

საქართველოს მთავრობამ MCA-საქართველოს ბორდის ხელმძღვანელად ნიკოლოზ გილაური შეარჩია, რომელიც საქართველოსა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის არსებული პირველი პროგრამის ფარგლებში ამ პოზიციაზე 2006 წლის აპრილიდან 2011 წლის აპრილამდე მუშაობდა.

MCA-საქართველოს ბორდის წევრები იქნებიან საქართველოს ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრები, აგრეთვე, კონსულტაციების შედეგად, MCA-საქართველო კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორ წარმომადგენელს შეარჩევს. პროგრამის განვითარებისთვის საჭირო გრანტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს შორის არსებული პირველი საგრანტო შეთანხმების შედეგია, რომელმაც, საელჩოს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი.

"პირველი პროგრამა იმის წარმატებული დემონსტრირება აღმოჩნდა, თუ რისი მიღწევა შეუძლია ორ ქვეყანას ერთად. მოხარული ვარ, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობის ამ მნიშვნელოვან ასპექტში თანამშრომლობა კვლავ გრძელდება," - განაცხადა აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

ფაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით. დროებით კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს. (15.10.2010.N 3710).

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომიტეტებს. კომიტეტების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის თავმჯდომარე. კომიტეტების უფლებამოსილება, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.
პარლამენტის კომიტეტებია: აგრარულ საკითხთა; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; საფინანსო-საბიუჯეტო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის; ევროპასთან ინტეგრაციის; თავდაცვისა და უშიშროების; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების;
იურიდიულ საკითხთა; საგარეო ურთიერთობათა; საპროცედურო საკითხთა და წესების; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.
კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 15 პარლამენტის წევრით. კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი. კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც კომიტეტის წევრთაგან, ფარული კენჭისყრით ირჩევს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით.
საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პარლამენტში იქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ; რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
დროებითი საგამოძიებო კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე, თავჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო პრაქციების თავჯდომარეები.

2. ამოღებულია. (15.10.20120. N3710)

პარლამენტის ბიურო ახორციელებს პარლამენტის საქმიანობის ორგანიზებას და მოქმედებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად. ბიუროს საქმიანობ წარმოადგენს პლენარული სხდომების დღის წესრიგის პროექტის შემუშავება.
ამტკიცებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროპორციული წარმოდმაგნელობის კვოტებს კომიტეტში, საგამოძიებო და სხვა დროებით კომისიებში, მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციებში. ამტკიცებს კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დებულებებს. განსაზღვრავს საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიის ხარჯების ოდენობას. წყვეტს ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის რეგისტრაციის საკითხებს. განიხილავს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გასატან კანონპროექტების შესახებ დასკვნას, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს. აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებას პარლამენტის მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე დაამტკიცოს საპარლამენტო დელეგაციების ოფიციალური შემადგენლობა.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მუსხიშვილის, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

სასაკლაო ჰამას პროვინციაში

პირველი გვერდიდან

დაღუპულების ამოცნობა ჯერ არ დასრულებულა, მასობრივი სასაკლაოს შემდეგ ცხედრები მეჩეთშია გადასვენებული, მაგრამ ამბოხებულები ირწმუნებიან, რომ ბევრი გვამები რჩება სოფლის შემოგარენშიც. თუმცა, სირიის სახელმწიფო ტელეარხებმა მომხდარში შეიარაღებული ტერორისტული დაჯგუფებები დაადანაშაულეს და მსხვერპლის რაოდენობაც უტიფრად შეამცირეს. მათი ცნობებით, სოფელ ტრემსში დატრიალებულ ტრაგედიას სულ 50 ადამიანი შეეწირა. ასადის სადამსჯელო რაზმის "ალ შაბიჰის მილიციის" მოქმედება იმავე ღამეს გააპროტესტეს დამასკოში, იდლიბსა და ჰამაში.

იმ დროს, როცა, ამბოხებულებთან ერთად, მშვიდობიან მოსახლეობასაც სასტიკად უსწორდებოდნენ, ასადის არმია კიდევ ორმა გენერალმა დატოვა. მათ, კოლეგების მსგავსად, პოლიტიკური თავშესაფარი თურქეთს სთხოვეს. სამხედრო მაღალჩინოსნების კვალდაკვალ დიქტატორის გარემოცვას გაურბიან დიპლომატებიც. სირიის მეგობარ ქვეყანა ერაყში სრულუფლებიანმა ელჩმა ნავაფ ალ-ფარესიმ პრეზიდენტ ასადს უკვე არალეგიტიმური მმართველი და კრიმინალი უწოდა. **"პირველი დღიდან ვუჭერდი მხარს რევოლუციას, თუმცა ამის შესახებ ჩემმა მხოლოდ რამდენიმე ახლობელმა იცოდა, სახელმწიფო ვალდებულებას ვერ გადავუხვევდი. მმართველი რეჟიმი უამრავ რეფორმას დაგვპირდა, მაგრამ დიდი ხნის ლოდინის მიუხედავად არც ერთი არ შეასრულა. ამის ნაცვლად გადავიდა მკვლელობებზე, განადგურებასა და ყველაფერი სირიულისგან - მიწისგან, ხალხისგან, გეოგრაფიისგან და ისტორიისგან გაუცხოებაზე. მაინც მქონდა იმედი, რომ რაღაც შეიცვლებოდა პრეზიდენტ ასადთან ახლოს ყოფნით, რომელიც უკვე აღარ არის ქვეყნის ლეგიტიმური მმართველი. იგი დამნაშავეა, რომელიც სირიელ ხალხს ხოცავს,"** - განაცხადა "ალ ჯაზირასთვის" მიცემულ ინტერვიუში სირიის აწ უკვე ყოფილმა ელჩმა ერაყში ნავაფ ალ-ფარესიმ.

სირიის მეგობარ ქვეყანაში ელჩის თანამდებობის დატოვებას და ამბოხებულთა მხარეს გადასვლას შეერთებული შტატებიც გამოეხმაურა. **"სულ უფრო მეტი ფაქტია იმის დამადასტურებლი, რომ ასადის რეჟიმი ძალაუფლებას კარგავს. მას ტოვებენ დაახლოებული წრის წევრები და სამხედრო მაღალჩინოსნები, რომლებიც სისასტიკის ნაცვლად არჩევანს სირიის ხალხის სასარგებლოდ აკეთებენ,"** - განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეი ქერნიმ.

მორიგ სასაკლაოს კი დიპლომატიურ ფონად გასდევს გაერო-ს უშიშროების საბჭოში მოლაპარაკებები სირიის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების შესახებ. სირიის კრიზისის დასრულებისთვის დახმარებას კოფი ანანი, პარალელურად, ოფიციალური დამასკოს მეგობრებს თეირანსა და ბაღდადსაც სთხოვს. ამ მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგანგებო წარმომადგენელი ირანისა და ერაყის ოფიციოზს უკვე შეხვდა. 16 ივლისს კი კოფი ანანი მოსკოვში ჩავა. იგი შეეცდება, დაარწმუნოს სერგეი ლავროვი სანქციების გამკაცრების აუცილებლობაში, რადგან საერთაშორისო კონსენსუსის არარსებობა დამასკოს ჰუმანიტარული კატასტროფით ემუქრება.I

რუსეთ-უკრაინის საიდუმლო შეთანხმება საზღვრების შესახებ

ივა შილაკაძე



ხუთშაბათს გვიან დამთავრდა იალტაში უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტების ვიქტორ იანუკოვიჩისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა. მასზე განიხილეს გლობალური სასურსათო კრიზისის მოახლოების საკითხი, ხელშეკრულებები გაზის მიწოდებისა და ტრანზიტის შესახებ, სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვაში საზღვრის დელიმიტაციის თემა. ეს უკანასკნელი ორივე სახელმწიფოში განსაკუთრებული ინტერესს იწვევდა.

მოლაპარაკებების მიმდინარეობის და, ფაქტობრივად, მიღწეული შეთანხმების შესახებ ინფორმაციამ მედიაში პრეზიდენტების შეხვედრის წინ გაჟონა და ეს გუშინ დაწვრილებით გააშუქა "24 საათმაც". თუმცა პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ოცწლიანი დავა ჯერ ბოლომდე არ დამთავრებულა. მოლოდინის მიუხედავად, ხელშეკრულება საზღვრის დელიმიტაციის შესახებ არ გაფორმებულა. იანუკოვიჩმა და პუტინმა ხელი მოაწერეს მხოლოდ განცხადებას მოლაპარაკებების დამთავრების შესახებ. პრესკონფერენციაზე პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ შეთანხმებულია მხოლოდ ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ერთობლივმა კომისიამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა მოსაზრებების გამო ამ ეტაპზე მხარეებმა თავი შეიკავეს მიღწეული შეთანხმების საჯაროდ დაფიქსირებისგან. ამის მიზეზების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, რასაც ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით.

როგორც უკრაინულ, ასევე რუსულ პრესას ბუნდოვანი განცხადებებისა და გამოჟონილი მწირი ინფორმაციის საფუძველზე დარჩა შთაბეჭდილება, რომ რუსეთმა ნაწილობრივ უკან დაიხია და საზღვრის საკითხში ამოსავალ წერტილად უკრაინის პოზიციაა მიღებული. ამ პოზიციის თანახმად, კუნძული ტუზლაც და ქერჩის სანაოსნო არხიც უკრაინის მხარეს რჩება. ამის დასადასტურებლად მედიას მოჰყავს ციტატა პუტინის განცხადებიდან: "ჩვენ ვეთანხმებით უკრაინის მიდგომას. უნდა მივიყვანოთ ეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე. დარჩენილია მხოლოდ იურიდიული ტექნიკის საკითხები". გარდა ამისა, პუტინმა განაცხადა, რომ "ჩვენ ჯერ არ ვიყოფთ აზოვის და შავ ზღვებს. უბრალოდ, საბოლოოდ უნდა გაევლოს საზღვარი. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები და ექსპერტები შეთანხმდნენ პრინციპებზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს ორივე სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად." კიდევ უფრო გაურკვეველი და უსაგნო იყო იანუკოვიჩის კომენტარი. უკრაინის დელეგაციის ანონიმ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით რუსული "კომერსანტი" წერს, რომ ქერჩის სრუტეში შესასვლელიც უკრაინულია, მიღწეულია შეთანხმება სრუტის ერთობლივი გამოყენების შესახებ. სრუტედან გამოსასვლელზე ერთობლივი კონტროლი დამყარდება. ამ წარმომადგენლის სიტყვებით, უკრაინის მხარის კომპრომისი სწორედ ეს იყო, რომ ისინი დათანხმდნენ სრუტის გამოსასვლელზე ერთობლივ კონტროლს.

უკრაინის დღევანდელი პოზიციის ანალოგიურად იყო საბჭოთა კავშირის დროს გავლებული ადმინისტრაციული საზღვარი. ეს საზღვრები დაედო საფუძვლად ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრებსაც, უბრალოდ, რუსეთი ყველგან, სადაც გასდის, ცდილობს, ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ "ჩაასწოროს". ცხადია, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, მოსკოვს ნაკლებად აინტერესებდა, რომელი მოკავშირე რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში გავიდოდა სანაოსნო არხი. დღეს კი ამ საქმის "გადახედვა" უნდა.

საზღვრის გარდა, მხარეებმა, როგორც აღვნიშნეთ, ისაუბრეს გაზის კონტრაქტებისა და მოახლოებული სასურსათო კრიზისის შესახებ. შეათანხმეს სახელმწიფო ვიზიტების პირობითი თარიღებიც. იანუკოვიჩი მოსკოვში შემოდგომაზე ჩავა, პუტინი კი უკრაინას 2013 წელს ეწვევა. პუტინი საკმაოდ რბილი იყო რუსეთისთვის მტკივნეულ კიდევ ორ საკითხზე მსჯელობისას. ეს ეხება უკრაინის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას და მისი შესვლის (უფრო ზუსტად, შეუსვლელობის) საკითხს საბაჟო კავშირში. პუტინმა განაცხადა, რომ ის გაგებით ეკიდება უკრაინის პრიორიტეტულ კურსს ევროკავშირში ინტეგრაციისკენ (სხვა საქმეა, რომ ტიმოშენკოს დევნის გამო უკრაინას ეს პროცესი გაეყინა). რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებით, ეს თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა და ამ საკითხში რუსეთისგან ზეწოლა გამორიცხულია (არადა საქმე პირიქით არის, რუსეთი წლების განმავლობაში აკავშირებს ბუნებრივი აირის ფასს და საბაჟო კავშირში უკრაინის შესვლას). პუტინის განცხადებით, რუსეთისთვის სათაკილო არ არის უკრაინის პრიორიტეტებში მეორე ადგილზე დგომა, აშშ-სა და ჩინეთთან ერთად. იანუკოვიჩმა კი იმავე საბაჟო კავშირის შესახებ განაცხადა, რომ უკრაინას ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად ორი-სამი წელი დასჭირდება. ანუ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე დათმობას იანუკოვიჩი ვერ რისკავს და მერე რა მოხდება, ამაზე კი დღეს ძნელია მსჯელობა.

ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, რას მოერიდნენ რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები. შეიძლება, ეს არის საზოგადოებრივი აზრის ნელ-ნელა მომზადების პროცესი რუსეთში. იქ მასა მტკივნეულად აღიქვამს ნებისმიერ "დათმობას". არადა უკრაინის პოზიციის გაზიარება, უბრალოდ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით საკითხის გადაწყვეტაა. შეიძლება, მხარეები ცდილობენ იანუკოვიჩის წარმოჩენას უკრაინის პატრიოტად, რადგან მას "რეგიონული ენების" შესახებ კანონის "მიღების" გამო ქვეყანაში სიტუაცია ძალიან დამძიმებული აქვს. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ საკითხი ბოლომდე შეთანხმებული მაინც არ არის, თუმცა სწორედ ასეთი შეთანხმებისკენ მიდის საქმე და პრეზიდენტებს, უბრალოდ, დრო გაჰყავთ.

გუშინ მოგვიანებით, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, განცხადება გააკეთა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. უწყების ცნობით, კუნძულ ტუზლას კუთვნილების საკითხი მთელი ამ წლების განმავლობაში არც დასმულა. ის იყო და დარჩება უკრაინის ტერიტორიის ნაწილად. განიხილება მხოლოდ საზღვაო სივრცის და ქერჩის სრუტის საკითხი.

ამერიკა ირანის წინააღმდეგ სანქციებს ამკაცრებს

ამერიკის განცხადებით, ირანის წინააღმდეგ სანქციებს ქვეყნის ბირთვული პროგრამის გამო კიდევ უფრო გაამკაცრებენ. ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ "შავ სიას" დაემატა რამდენიმე კომპანია და კერძო პირი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან თეირანის დახმარებაში ამ უკანასკნელის მიერ ბირთვული იარაღის შექმნაში. განცხადებაში ასევე საუბარია, რომ გამოვლინდნენ მთელი რიგი კომპანიები და ბანკები, რომელთა დახმარებითაც ირანი დაწესებული სანქციების გვერდის ავლას ახერხებს. ირანი, თავის მხრივ, ჯიუტად ირწმუნება, რომ ბირთვული პროგრამის განვითარება მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება.

ინდოეთმა ბალისტიკური რაკეტა "აგნი-1" გამოსცადა

ინდოეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ინდოეთმა ბალისტიკური რაკეტა "აგნი-1"-ის მორიგი გამოცდა ჩაატარა, რომელსაც ბირთვული საბრძოლო მასალის გადატანა შეუძლია. რაკეტა ბენგალის ყურეში გამოსცადეს. რაკეტის ფრენის სიგრძე, დაახლოებით, 700 კმ-ია. წინა გამოცდა ქვეყანამ გასული წლის დეკემბერში ჩაატარა.

რუსეთის ოპოზიციას 26 ივლისის აქციის სხვა მარშრუტს სთავაზობენ

მოსკოვის ხელისუფლებამ ოპოზიციურ "6 მაისის კომიტეტს" 26 ივლისს მოსკოვის ბულვარში მსვლელობაზე უარი უთხრა და აქციის ადგილად კრიმსკის სანაპირო შესთავაზა. მოსკოვის რეგიონული უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსეი მაიოროვმა "ინტერფაქსს" განუცხადა, რომ "6 მაისის კომიტეტის" მიერ შემოთავაზებული მარშრუტის გავლა უქმე დღეებზე მიუღებელია. "ჩვენ შევთავაზეთ მიტინგის გადატანა კრიმსკის სანაპიროზე," - აღნიშნა მაიოროვმა.

2012 წლის 9/11-ის ცერემონიაზე პოლიტიკოსებს საუბარი აეკრძალათ

"11 სექტემბრის ეროვნული მემორიალისა და მუზეუმის" ცნობით, წელს 2001 წლის 11 სექტემბრის მოსაგონარ ცერემონიაზე პოლიტიკოსებს საუბარი აეკრძალებათ. "11 სექტემბრის ეროვნული მემორიალისა და მუზეუმის" პრეზიდენტ ჯო დანიელსის თქმით, ფონდი "აქცენტს მსხვერპლთა და მათი ნათესავებისთვის პატივის მიგებაზე გააკეთებს, რაც პოლიტიკისგან თავისუფალი იქნება."

9/11-ის მსხვერპლთა ოჯახებს წერილები დაეგზავნათ, სადაც აღნიშნულია, რომ წლევანდელ ცერემონიაზე ოჯახის წევრების მიერ მათი ნათესავის სახელისა და გვარის წაკითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება.

"გრაუნდ ზერო"-ზე 9/11-ის ცერემონიის დროს ტრადიციულად პოლიტიკოსები გამოდიოდნენ ხოლმე, დაწყებული ნიუ-იორკის ყოფილი მერით რუდოლფ ჯულიანით, დამთავრებული ექს-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშით.

გასულ წელს ტერორისტული თავდასხმის ათი წლისთავზე ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ცერემონიაზე ფსალმუნი წაიკითხა.

ცერემონიაზე ნათესავების მიერ 9/11-ის დროს დაღუპული ოჯახის წევრის სახელის წაკითხვა ერთგვარ ტრადიციდაც იქცა. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, გასულ წელს ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა ერთ-ერთ რადიოშოუში მონაწილეობისას ამ ტრადიციის დასრულების შესახებ ისაუბრა.

რუსეთის დუმამ საგაზაფხულო სესია სკანდალით დაასრულა

პარასკევს 13 ივლისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ საგაზაფხულო სესია დაასრულა, რომელიც ერთი კვირით გააგრძელეს, რათა კანონებში მთელი რიგი შესწორებები შეეტნათ. არდადეგებზე გასვლის წინ დეპუტატებმა საბოლოოდ დაამტკიცეს ორი კანონი - არაკომერციული ორგანიზაციების ანუ "უცხოეთის აგენტების" შესახებ და ცილისწამების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაბრუნების შესახებ. მეორე კანონი "ედინაია როსიას" წევრებმა, ფაქტობრივად, სხვა ფრაქციების "დაუხმარებლად" მიიღეს.

ორივე კანონის ინიციატორია პარტია "ედინაია როსია", რომელმაც სამარცხვინოდ უკვე მიიღო მიტინგის შესახებ კანონი. "ინტერფაქსის" ცნობით, ამ ჯერზე დემარში "კომუნისტური პარტიის" დეპუტატებმა მოაწყვეს, რომლებმაც სხდომათა დარბაზი მთელი შემადგენლობით დატოვეს.

"უცხოეთის აგენტებზე" კანონის შესახებ ვრცელ სტატიას "24 საათი" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ციხესულორის არქეოლოგიური აღმოჩენები

პირველი გვერდიდან

პლინიუსი პოლისებს შორის დაშორებას მანძილებით საზღვრავს. მისი მონაცემების მიხედვით, თუ გავზომავთ პირდაპირი ხაზით, როგორც რომაელები ზომავდნენ, აღმოჩნდება, რომ მანძილი ფაზისიდან ციხესულორამდე დღევანდელ მონაცემებს ოთხიოდე კილომეტრით თუ სცდება. ამ მანძილს იმ დროისთვის აბსოლუტური შეიძლება ვუწოდოთ," - ამბობს გურამ ყიფიანი.

იგი ამ გათხრებისთვის სამი წელი ემზადებოდა. მას წინ უსწრებდა არაერთი დაზვერვითი ექსპედიცია, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ხეობებში, დომინანტური სიმაღლეებიდან, ქალაქის ურბანულ ორგანიზმში ჩამოცურებულია ანტიკური კრამიტები, არქეოლოგიური დეტალები, კერამიკის ნიმუშები, ბრინჯაოს სამაჯურები და სხვა.

ციხესულორის ბორცვზე არსებობს პატარა ციხე, რომელსაც ნაციხვარი ეწოდება. მის შიდა სივრცეში 1973-75 წლებში გათხრებს აწარმოებდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი მარინე მიწიშვილის ხელმძღვანელობით. კლდოვან მასივზე მარინე მიწიშვილმა აღმოაჩინა ელინისტური პერიოდის კედლის ნაშთი და საბრძოლო ჭურვი - ქვის ბირთვი, რომელიც, ყველა ნიშნით, სამხრეთიდან იყო გასროლილი ქალაქისკენ.

ექსპედიცია ციხის შიდა სივრცეს არ შეხებია, მხოლოდ გარე ფართობის შესწავლა გადაწყვიტეს და პირველსავე დღეს გამოიკვეთა თიხით შელესილი ხის სამლოცველოს ნაშთი, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით კოლხურ სასმისებს, ყურმილიან დოქებს, სარიტუალო ქოთნებს და ა.შ. მათ შორის არც ერთი არ იყო ე.წ. სამზარეულო კერამიკა. მოგვიწია, შევხებოდით შუასაუკუნეების კედლებსაც, რომლებიც ასევე მიწით იყო დაფარული. ეს კედლები შეიცავდნენ ანტიკური ხანის არქიტექტურის დეტალებს, კანელურებიან სვეტის დოლს. აქვე, ამ კედლებში ჩაშენებული იყო ქვის საბრძოლო ჭურვები, რომლებიც ოდესღაც სამხრეთიდან დაუშენიათ ქალაქისთვის. გარდა ამისა, სოფელ ციხესულორში, ზაურ კორძაძის ეზოში, მიაკვლიეს რომაულ აბანოს, რომელიც თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, ახალი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნით თარიღდება. ეს მიგვანიშნებს, რომ ამ დროისთვის ქალაქი კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს. სამწუხაროდ, ამ ეზოს სრული შესწავლა ვერ მოხერხდა. ყველაზე საყურადღებო აღმოჩენად გურამ ყიფიანს მიაჩნია ციხის სამხრეთ კედელზე გამოვლენილი კლდოვანი გზა, აბსოლუტურად ნიველირებული ზედაპირით, რომელიც შესაძლოა, საიდუმლო კარიც კი ყოფილიყო. თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ 4-მეტრიანი მონაკვეთის გათხრა შეძლეს, მისი შესწავლა მომავლის საქმეა.

გურამ ყიფიანის თქმით, მოპოვებულ მასალას დიდი ქრონოლოგიური ჭრილი აქვს - აქ არის ადრეული და გვიანი შუასაუკუნეები, რომაული და ელინისტური პერიოდები, ადრეანტიკური ხანა. ვიზუალურად სოფლის დომინანტები შედგება სამი ბორცვისგან. დასავლეთს ეწოდება ყორღანის მთა, სადაც უძველესი დროიდან სოფლის მცხოვრებნი სამარხებს პოულობდნენ. შუა ბორცვის სამხრეთის კედელი ამჯერად გაითხარა. აღმოსავლეთ ბორცვი კი უშუალოდ ვანის ნაქალაქარს გადაჰყურებს.

2 წლის წინ ილიას უნივერსიტეტში შეიქმნა პალეო-ურბანული კვლევების მიმართულება, სადაც გაერთიანებულნი არიან დოქტორანტები, მაგისტრანტები და ის ბაკალავრები, რომლებმაც ძირითად პროფესიად არქეოლოგია აირჩიეს. ამ ლაბორატორიის საბოლოო მიზანი საქართველოს პალეო-ურბანული ატლასის გამოცემაა, ხოლო ატლასზე დატანილი ყოველი პუნქტი თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგად იქნება დადგენილი.

სტუდენტებისთვის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად გურამ ყიფიანმა სოფელი ციხესულორი იმიტომ აარჩია, რომ მას უშუალოდ ესაზღვრება ვანის ნაქალაქარი, სადაც არსებობს სამუზეუმო ექსპოზიცია და ფონდები. აქ სტუდენტებს შეეძლოთ, გაცნობოდნენ არქეოლოგიურ მასალას. გარდა ამისა, ციხესულორი უშუალოდ ებმის ვანის ნაქალაქარს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები არქეოლოგიური ექსპედიციის არა თვითმხილველნი, არამედ უშუალო მონაწილეები იყვნენ. მათი ხელით გაკეთდა ყველა მონაკვეთის პრეპარაცია, ისინი ქმნიდნენ სტრატოგრაფიულ ჭრილებს, გეგმებს. მათვე შექმნეს კოორდინატთა ბადეც. მასალის კამერალური დამუშავებაც სტუდენტების საქმეა. ციხესულორის არქეოლოგიურ ექსპედიციას ახლდნენ ილიას უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ცქვიტინიძე და დოქტორანტი მადონა მშვილდაძე, ექსპედიციაში კი მონაწილეობდნენ მაგისტრანტები ნინო კაპანაძე, გიორგი ბურჯანაძე და ბაკალავრები - ინგა დემეტრაშვილი, გიორგი ნებუნიშვილი, ანა დელარიძე, თეონა ბუბუტეიშვილი და მათე ახალაია. მათთვის ეს ექსპედიცია დილიდან საღამომდე მუდმივი სასწავლო პროცესი იყო. უნივერსიტეტმა შეძლო, ექსპედიციისთვის ექირავებინა ადგილობრივი სახლი ეზოთი, ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ, დაახლოებით, 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადასცა სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისთვის.

ექსპედიციის არქეოლოგიური მონაპოვარი ილიას უნივერსიტეტის მუზეუმის არქოლოგიურ ფონდში განთავსდება, სადაც სტუდენტების მიერ მათი შემდგომი დამუშავება მოხდება. ხოლო თუ ეროვნული მუზეუმი გადაწყვეტს, რომ მის გამოფენას რომელიმე არტეფაქტი დაამშვენებს, უყოყმანოდ გადაეცემა.

ერევანში "ბახმაროს" შეაფასებენ

პირველი გვერდიდან

"ოქროს გარგარის" საკონკურსო პროგრამის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი 15 ივლისსაა დაგეგმილი და სწორედ ამ დღეს გახდება ცნობილი, თუ ვის ნამუშევარს მიიჩნევენ ფესტივალის საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს სექციაა, რადგან მის საკონკურსო პროგრამაში ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტური ნამუშევარი, სალომე ჯაშის "ბახმარო" მონაწილეობს. ამ ფილმის შესახებ "24 საათში" არაერთხელ დაგვიწერია, თუმცა კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ახალგაზრდა რეჟისორის მიერ "მკვდარი" შენობისა და მის აჩრდილებად ქცეული ბინადრების შესახებ გადაღებული ისტორია მართლაც არაჩვეულებრივია და რა სამწუხაროა, რომ ის ფართო მაყურებელს არ უნახავს. "ბახმაროს" უკვე აქვს საფესტივალო ბიოგრაფია და რამდენიმე ჯილდოს მფლობელიცაა. ჯაშის ნამუშევარს საკონკურსო პროგრამაში 11 კონკურენტი ჰყავს, მათ შორის, ფილმები ნორვეგიიდან, პალესტინიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, თურქეთიდან და ასე შემდეგ. როგორც გითხარით, დოკუმენტური ფილმების განსჯა საერთაშორისო ჟიურის წევრ ნანა ჯანელიძესაც ევალება, რაც ქართული ფილმის კალათში იმედია, ერთ დამატებით ქულასაც ნიშნავს, მით უმეტეს, რომ "ბახმარო" სამართლიანად იმსახურებს წარმატებას.

"გარგარის კურკის" სახელწოდებით ცნობილ მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში კოტე ჩლაიძის ფილმი "მირზას დაბადების დღე" (ეს ფილმი უკვე ნანახი აქვს თბილისის კინოფესტივალის მაყურებელს) მონაწილეობს, სრულმეტრაჟიანი კინოს სექციაში კი ერთი ქართული ფილმიც ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, საკუთარი კინოპროდუქცია არ დაიშურეს ესპანელებმა, ჩეხებმა, თურქებმა, ფრანგებმა და ევროპის კიდევ რამდენიმე სერიოზულმა ქვეყანამ. ალბათ ჯობდა, ჩვენც გაგვეგზავნა რამე - კავკასიის ქვეყნები, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად სომხეთი, ჩვენთვის ხელსაყრელ კინობაზრად შეგვიძლია ვაქციოთ.

რაც შეეხება ფესტივალის პარალელურ ღონისძიებებს, აქ გარკვეული წარმატებები უკვე გვაქვს. მაგალითად, Directors Across Border-ის ფორუმზე მთავარი ჯილდო (Best Project/Pitch Award) კინოპროექტის "ხელები მაღლა" შემდგომი განვითარებისთვის ქეთი მაჭავარიანმა 5000 ევრო მიიღო. ამავე ფორუმში მონაწილეობდა ნანა ჯანელიძის პროექტი "სხვა სამოთხეც". აქვე გეტყვით, რომ DAB-ის კოპროდუქციის ფორუმის მიზანია, მისი მონაწილე ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) ნიჭიერი ფილმმწარმოებლების ხელშეწყობა და მათ შორის კოპროდუქციის წახალისება.

ფესტივალის ფარგლებში იმართება ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივაც, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით თავად რეჟისორიც ესწრება. რეტროსპექტივაში წარმოდგენილია "არაჩვეულებრივი გამოფენა", "შერეკილები", "სამანიშვილის დედინაცვალი" და "ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი". 10 ივლისს შენგელაიამ პრესკონფერენცია ჩაატარა, რის დროსაც საკუთარ ცხოვრებასა და კარიერაზე, თანამედროვე ქართულ კინოსა და ფარაჯანოვთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

"ოქროს გარგარის" ისტორია 2004 წლიდან იწყება. თავიდან ფესტივალს მხოლოდ სამი საკონკურსო პროგრამა ჰქონდა - მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სომხური კინოს კონკურსები, შარშან კი ხსენებული "გარგარის კურკა" დაემატა. ფესტივალი სომეხ კინემატოგრაფისტებთან ერთად სომხური წარმოშობის კანადელმა რეჟისორმა ატომ ეგოიანმა დააარსა. მიმდინარე წლიდან "ოქროს გარგარი" როტერდამის კინოფესტივალის პარტნიორია.

"ოქროს გარგარის" დახურვის ცერემონიალი და გამარჯვებულთა დაჯილდოება 15 ივლისს გაიმართება და გავიგებთ კიდეც, რამდენად გაუმართლებს სალომე ჯაშისა და კოტე ჩლაიძის ფილმებს.

"მაიამის" ჰიტი

ზურაბ თალაკვაძე

რეი ალენი "მაიამიში" გააგრძელებს კარიერას

რეი ალენი ფლორიდაში მიდის. "ბოსტონმა" ჯოკერი დაკარგა და "მაიამიმ" მოხუცი სნაიპერი აიყვანა. ნორმალური, სამწლიანი კონტრაქტით აიყვანა და რეი ერთ სეზონში 3.25 მილიონ დოლარს მიიღებს. ნორმალური კონტრაქტი 37 წლის მსროლელისთვის, რომელიც "მაიამიში" პერიმეტრზე ოფისს გახსნის და ბევრ სამიანს გაუშვებს. ძირითადად, უნდა ჩააგდოს. ალენთან ბურთი ლებრონ ჯეიმსისგან ან დუეინ უეიდისგან მივა.

ალენი დაიღალა. "ბოსტონში" კევინ გარნეტმა და პოლ პირსმა პენსია დაირტყეს, რაჟონ რონდომ აკრიფა და რეი ლიდერებში ზედმეტი იყო. ამასობაში მისტერ ალენმა ვერ იმეგობრა რონდოსთან. ხდება ხოლმე, მაგრამ ალენს სხვა ამბებიც არ მოეწონა.

არ მოეწონა, რომ "ბოსტონის" პრეზიდენტმა დენი ეინჯმა მარტში "მემფისთან" საუბარი დაიწყო. საუბარი ალენის ტრეიდზე.

არ მოეწონა, რომ "ბოსტონის" მთავარმა მწვრთნელმა, დოკ რივერსმა რეგულარულის ბოლო მონაკვეთში და ფლეი-ოფში რეი მეექვსე მოთამაშედ დატოვა. ალენის ჰამაკში ერთჯერადი და მონდომებული ეივერი ბრედლი ჩაანვინეს.

არ მოეწონა, რომ ღლაპი რონდო რაღაცებს უხსნიდა და რივერსი წინააღმდეგი არ იყო.

არ მოეწონა, რომ "სელტიქსმა" ახალი კონტრაქტის შეთავაზება დააგვიანა.

37 წლის რეიმ "სელტიქსისგან" სამწლიანი თორმეტმილიონიანი შეთავაზება მიიღო. სოლიდური კუში მოხუცი ტერორისტისთვის. სოლიდური, მაგრამ დაგვიანებული.

ალენი მიდის გუნდში, რომელშიც მომდევნო სამ სეზონში სამი ჯეკპოტისთვის იომებს. ლებრონთან, უეიდთან, კრის ბოშთან, პატ რაილისთან ერთად.

რეი რეგულარულში ("მილუოკი", "სიეტლი", "ბოსტონი") - **1 148 თამაში**, **22 941** (20.0) **ქულა**, **4 850** (4.2) **მოხსნა**, **4 083** (3.6) **პასი**, **1 330** (1.2) **ჩაჭრა** და **2 718 რეალიზებული სამიანი**. შთამბეჭდავი სტატისტიკაა კარგი მსროლელისგან.

"ბოსტონს" რეი დააკლდება. გუნდი "მაიამის" ასაჩენად მოემზადა, გაიფორმა ფორვარდი ჯეფ გრინი, "დალასიდან" ჯეისონ ტერი წამოიყვანა და ყველაფერი კარგად იყო. ალენის გადაწყვეტილებამდე კარგად იყო და "სელტიქსი" უცებ შეიცვალა.

"ბოსტონი" ტრადიცია და ლეგენდების პანთეონია. ბოსტონში რეი ალენმა მოიგო სუპერფინალი (2008). იყო კიდევ ერთი სუპერსერიის მონაწილე და სამიანების რეკორდიც "სელტიქსში" სირბილის დროს მოხსნა.

მერე მოვიდა პატ რაილი და რეი მოხსნა.

"მაიამიმ" კიდევ ერთი ჰიტი უნდა შექმნას და "სელტიქსმა" სანდო მაჯა და სიმშვიდე დაკარგა.

დიდი კიდი

ზურაბ თალაკვაძე

"დალასი" შეიცვალა. ორი წლის წინ გერმანელმა კრიმინალმა ზაკ უაილდის გამოხედვით სუპერფინალი მოიგო. დირკ ნოვიცკი "დალასში" რჩება. ზაკ უაილდის გამოხედვაც იქვეა და "დალასი" გახუნდა, ცუდი გუნდი გახდა. "მავერიქსმა" ვერ შეინარჩუნა ჯეისონ ტერი. "მავერიქსმა" დაკარგა ჯეისონ კიდი.

ჯეისონი პანელიდან "ნიქსმა" მოხსნა.

ლეგენდასთან სამწლიანი მეგობრობა "ნიქსის" ბანკს 9 მილიონით შეჭრის. კიდი ერთ სეზონში 3 მილიონზე მეტი ღირს და "ნიქსმა" კარე გაშალა.

კარმელო ენტონისთან, ამარე სტაუდმაიერთან ერთად. 39 წლის ჯეისონი ლიგის ყველა დროის (რეგულარულის) სტატისტიკურ ლიდერებში შედის.

კიდი მეორეა პასებში - 11 842. პირველზე ჯონ სტოქტონი ზის.

კიდი მეორეა ჩაჭრებში - 2 559. პირველზე ისევ ჯონ სტოქტონი ზის.

კიდი მესამეა სამმაგ დუბლებში - 103. პირველზე ოსკარ რობერტსონია.

კიდი მესამეა ჩასმულ სამიანებში - 1 874. პირველზე რეი ალენი ჩამოჯდა.

კიდი კალათბურთის პროფესორი და ინტელექტია და "ნიქსმა" სამ მილიონად მთელი ეს ისტორიული ამანათი შეიძინა.

"ნიქსის" რუსტერში რაღაცები იცვლება. ლანდრი ფილდსმა თავი დაუქნია "ტორონტოს" და ნიჭიერ ბიჭს კანადელების 20 მილიონი დოლარი მოეწონა. "ნიქსი" ამ თანხას არ გადაფარავს. არ უნდა გადაფაროს. ფილდსი სამ სეზონში 20 მილიონზე მეტი არ ღირს.

"ნიქსმა" უნდა გადაწყვიტოს, რა მოუხერხოს ჯერემი ლინს. ნიჭიერი ბიჭი "ჰიუსტონს" უნდა. იქ ადრე იაო მინი აკეთებდა საქმეს და ტექსასელ ბოსებს აზიურ ბაზრობაზე კიდევ ერთი ნიჭიერი ბრუს ლის გაყვანა უნდათ.

"ნიქსმა" დაიმატა კიდი, რომელიც კალათბურთში სადოქტოროებს იცავს და მისტერ კიდი ყველა დროის ხუთ საუკეთესო ფლეიემიქერში შედის. მეჯიქთან, სტოქტონთან, ოსკართან და აიზია ტომასთან ერთად.

ჯეისონ კიდი საქმეს მიხედავს. "ნიქსიდან" ბევრი ნაგავია გასატანი და კიდი პრობლემებს მოაგვარებს. როგორც ყოველთვის.

გლაზგოს "რეინჯერსი" ფსკერზე დაეშვა

შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გლაზგოს "რეინჯერსი", რომელიც ფინანსური სიდუხჭირის გამო (ვალი შეადგენს 50 მილიონ ფუნტს) იძულებული გახდა პრემიერლიგაზე ეთქვა უარი, უკან დასაბრუნებლად დიდი დრო დასჭირდება. შოტლანდიის საფეხბურთო ლიგის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ შოტლანდიის 54-გზის ჩემპიონი მომავალი სეზონიდან ითამაშებს ქვეყნის უმდაბლეს - მესამე, სიძლიერით კი მეოთხე დივიზიონში. ასე რომ, გლაზგოურ გუნდს ოდინდელი დიდებისკენ და პრემიერლიგამდე სულ ცოტა ოთხი წელი აშორებს.

მაიკლ ოუენი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა

"ლივერპულის", მადრიდის "რეალის", "ნიუკასლის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი პროფესიული კარიერის შესაძლო დასრულებაზე ალაპარაკდა. "თუ კარგ წინადადებას არ მივიღებ, კარიერის დასრულებაზე ვიფიქრებ. მინდა ვითამაშო ისეთ კლუბში, რომელშიც თამაშით სიამოვნებას მივიღებ, - საკუთარ "ტვიტერზე" წერს ოუენი. - არ მინდა უპატივცემულობაში ჩამომართვათ, მაგრამ დაბალ ლიგებში თამაშს არ ვაპირებ, როგორც ამას სხვები აკეთებდნენ. ვიცი, ისევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში".

"მანჩესტერ იუნაიტედთან" ამოწურული ხელშეკრულების შემდეგ 32 წლის ფეხბურთელი დღეს თავისუფალი აგენტია და ახალ შეთავაზებას ელის, მაგრამ, ეტყობა, ჯერ არც ერთი რეალური წინადადება არ მიუღია.

ალტინტოპი "გალათასარაის" ფეხბურთელია

"გალათასარაის" პრესსამსახურის ცნობით, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი ჰამიტ ალტინტოპი სტამბოლურ კლუბში გადავიდა. მათივე ცნობით, ტრანსფერი შეფასებულია 3,5 მილიონ ევროდ და ითვალისწინებს ოთხწლიან შეთანხმებას. განვლილ სეზონში 29 წლის თურქული წარმოშობის გერმანელმა ნახევარმცველმა ხუთი მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. მანამდე ალტინტოპი თამაშობდა "ვატენშაიდ 09"-ში, "შალკე 04"-სა და "ბავარიაში". წლეულს, 24 მაისს, ავსტრიის "რედ ბულის" სტადიონზე საქართველო-თურქეთის ამხანაგურ მატჩში, რომელიც თურქების გამარჯვებით - 3:1 დასრულდა, ერთი გოლით ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ალტინტოპმაც.

სნეიდერი "ანჟიში", ეტო`ოს კვალდაკვალ

მილანის "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი კლუბის ჰოლანდიელი ლეგიონერის უესლი სნეიდერის ნერვაძურულ პერსპექტივაზე საუბრობს.

"არსებობს რისკი, რომ სნეიდერი, სამუელ ეტო`ოს დარად, გადავიდეს "ანჟიში", - მორატის მოსაზრებას ახმოვანებს მილანური კლუბის პრესსამსახური. - პირადად მე მიმაჩნია, რომ სნეიდერი გუნდისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს". იმ შემთხვევაში, თუ ჰოლანდიელი ფეხბურთელი მახაჩყალის გუნდში გადავა, საგრძნობლად გაიუმჯობესებს ფინანსურ მდგომარეობას. არაოფიციალური ინფორმაციით, "ანჟიში" ჰოლანდიელის წლიური ხელფასი განისაზღვრება 15 მილიონი ევროთი, ხოლო დაღესტნური კლუბის მეპატრონეს სულეიმან კერიმოვს სნეიდერის ტრანსფერი 25 მილიონი ევრო დაუჯდება.

განვლილ სეზონში ჰოლანდიელი ნახევარმცველი ოცჯერ გავიდა მინდორზე, ოთხი გოლი გაიტანა და ხუთი საგოლე პასი მიითვალა.

ტონი პარკერის პრობლემა

ალექსანდრე ასათიანი

საფრანგეთის ნაკრების ლიდერი ტონი პარკერი

"სან ანტონიო" ტიმ დანკანის გუნდია. მოხუცი ბიჭი იქ პრობლემებს აგვარებს და შემდეგ სეზონში კიდევ ერთ საჩემპიონო ექსკურსიაზე გაიყვანს გუნდს. "სპურსის" ბოსი, მისტერ გრეგ პოპოვიჩი დანკანს უფრთხილდება, ვეტერანის წუთებს ჭრის და ფლეი-ოფისთვის ინახავს. ეს ჩვეულებრივი თემაა.

"სან ანტონიოში" აკრიფა ტონი პარკერმა და არარეალურ კალათბურთს თამაშობს. ბოლო ხუთ სეზონში ფრანგი კოპერფილდი საშუალოდ (და შესაბამისად) 18.3, 17.5, 16.0, 22.0 და 18.8 ქულას იღებს. სერიოზული სტატისტიკაა გუნდში, რომელიც ყოველთვის სტატისტიკაზე მეტი იყო. ტონი "სან ანტონიოს" მომავალი და პულსია. სენიორ პარკერი საფრანგეთის ნაკრებშიც პირველია.

საფრანგეთი ლონდონის ოლიმპიადაზე ჩავა და იქ მესამე ადგილისთვის გარჩევებში ჩართვას აპირებს. მთელი ეს პროცესი შეიძლება გაიწელოს და უპერსპექტივო გახდეს. ტონი პარკერმა ნიუ იორკში, ერთ-ერთ ღამის კლუბში, თვალის ტრავმა მიიღო. ეს რამდენიმე კვირის წინ მოხდა. ტონის თვალი ისევ აწუხებს და ევა ლონგორიას ყოფილმა ბიჭმა შეიძლება ოლიმპიადა გამოტოვოს.

პარკერი სან ანტონიოში ჩავიდა და "სპურსის" სამედიცინო პერსონალს შეხვდა. ექიმებმა ტონის საბოლოო პასუხი ვერ გასცეს. საფრანგეთის ნაკრების წარმომადგენლებიც ტექსასში სხედან და მტვრიან უბანში პარკერის პასუხს ელოდებიან. ტონისთან ერთად საფრანგეთი სათქმელს იტყვის. ტონის გარეშე საფრანგეთი ერთჯერადი გუნდი იქნება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ოლიმპიადაზე ვერ ირბენს "ჩიკაგოს" ცენტრი, ფრანგების კიდევ ერთი ვარსკვლავი იოაკიმ ნოა. ნოას გარეშე ლონდონში რონი ტურიაფმა ("მაიამი") ან "დალასის" დრეკადმა ჟირაფმა, იან მაინმიმ უნდა იცენტრონ. არასრულფასოვანი როქი გამოდის. ნოა სამწამიანში ჰალკივით დგას. მაინმი და ტურიაფი ერთჯერადები არიან.

პარკერი საფრანგეთის სუპერმენია.

შარშან, ლიტვაში, ევროპის ჩემპიონატზე, საფრანგეთმა ფინალამდე იარა. პარკერი იქ პირველი კაცი იყო.

31 ქულა და 7 პასი ლატვიასთან. ტონი არაჩვეულებრივი იყო.

21 ქულა და 8 პასი ისრაელთან. ტონიმ ისრაელი კოჭებში გადაამტვრია.

32 ქულა, 6 პასი, 4 მოხსნა გერმანიასთან. იმ გერმანიაში დირკ ნოვიცკი და კრის კამანი იყვნენ.

8 ქულა, 4 პასი, 3 მოხსნა იტალიასთან. ტონიმ დაისვენა.

24 ქულა და არარეალური დაცვა სერბეთთან. მისტერ პარკერმა 6 ჩაჭრა აიღო.

20 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი თურქეთთან. სერიოზული გარჩევა სერიოზული პარკერით.

მხოლოდ 1 პასი ლიტვასთან. თავის 19 ქულასთან და 3 მოხსნასთან ერთად. საკმარისი იყო. საფრანგეთმა ლიტვას ლიტვაში 73:67 აუწია ყური.

საბერძნეთთან ტონიმ 18 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა დაირტყა. საფრანგეთი წინ მიდის.

22 ქულა, 4 ჩაჭრა, 3 მოხსნა, 3 პასი ანდრეი კირილენკოსთან, დევიდ ბლატთან და რუსეთთან. საფრანგეთმა ნახევარფინალი 79:71 წამოიღო.

ლიტვაში პარკერი საშუალოდ 2.1 ქულას, 4.4 პასს, 3.5 მოხსნას, კარგ დაცვას იღებდა. საფრანგეთმა პარკერით გაქაჩა და საფრანგეთი ტონის პრივატული ტერიტორია იყო. ალბათ, იქნება კიდეც.

ფინალში ესპანეთმა პარკერი გააჩერა, საფრანგეთს ჯეკპოტი წაართვა. ფინალში პარკერმა 26 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და საინტერესო, პარკერული კალათბურთი ითამაშა. საფრანგეთმა 85:98 წააგო და ტონი დაიღალა. ესპანეთს უნდა მოეგო და მოიგო კიდეც. ესპანეთი ბოლო დროს ყველაფერს იგებს.

"სან ანტონიო" ტიმ დანკანის გუნდია. მოხუცი ბიჭი იქ პრობლემებს აგვარებს და შემდეგ სეზონში კიდევ ერთ საჩემპიონო ექსკურსიაზე გაიყვანს გუნდს. "სპურსის" ბოსი, მისტერ გრეგ პოპოვიჩი, დანკანს უფრთხილდება, ვეტერანის წუთებს ჭრის და ფლეი-ოფისთვის ინახავს. ეს ჩვეულებრივი თემაა. "ანტონიოში" აკრიფა ტონი პარკერმა და არარეალურ კალათბურთს თამაშობს. ტონი "სან ანტონიოს" მომავალი და პულსია. სენიორ პარკერი საფრანგეთის ნაკრებშიც პირველი ბიჭია. უბრალოდ, ტონის თვალი ისევ აწუხებს და ევა ლონგორიას ყოფილმა ბიჭმა შეიძლება ოლიმპიადა გამოტოვოს.

საფრანგეთი ლონდონში აუცილებლად ჩავა. თუ ეს ამბავი ტონი პარკერთან ერთად მოხდება, კრუასანების ნაკრები საინტერესო კალათბურთს ითამაშებს. თუ საფრანგეთის საუკეთესო ფლეიმეიქერი ნანდო დე კოლო იქნება, გუნდს თითქმის ყველა გააჩერებს.

პარკერი საფრანგეთია.

კარგი წაგება

კანდანმა (7) 36 ქულა დაგვიტოვა

ალექსანდრე ასათიანი

ლატვიასთან მინუს 38 დავსვით და ძალიან უხერხული იყო. თურქეთთან მინუს 36 წამოვიდა და უხერხულობის დოზა გაიზარდა. მერე ესპანეთი იქნება და დავით უსტიაშვილის ნაკრებმა ჯგუფის, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან, წესით, ნაკლები უნდა წააგოს. ესპანეთი ესპანეთია და ჩვენ ვსწავლობთ. კალათბურთის უკეთ თამაშს და 30 ქულაზე ნაკლებით წაგებას ვცდილობთ. ჯერ არ გამოდის და თუ გამოვა, ცუდი არ იქნება. ესპანეთმა პირველ ტურში თურქეთს 79:60 წამოარტყა და თურქეთი ჩვენთან გაერთო. საქართველოს ნაკრებში 25 ქულა აიღო დუდა სანაძემ. მშვენიერია. 13/8 ზუსტი სროლა, 7/5 სამიანი. სანაძე საქართველოს ნაკრებში ცხოვრებით სანაძეა. საიმედო კაცი.

საქართველოს ნაკრებიც საიმედო უნდა იყოს. ასაკობრივ დონეზე მინუს ბევრით წაგებით ბევრს ვერ აითვისებ. ჩნდება რაღაცის კომპლექსი და ის რაღაცა გღლის, არ გათამაშებს. პირველი ნაკრებისთვის კადრების მიტანა აუცილებელი პროცესია და თურქებმა ეს პროცესიც გააჩერეს.

პირველი მეოთხედი ვერ გადავაგორეთ, მინუს 9 დაგვიტოვეს და მეორე მეოთხედში უკეთესი საქართველო იყო. ერთ მომენტში 38:39 გახდა და თურქეთმა პირველი ტაიმი 2 ქულითაც შეავსო - 41:38. მერე უხერხული პროცესი წავიდა.

ძალიან ბევრი (29) ფოლი მივიღეთ. ორი კაცი გავარდა, ორიც თითქმის გავარდა და 22 შეცდომაც ძალიან ცუდია. 22 შეცდომა ყველასთან ცუდია.

ლატვიასთან იანის ტიმამ გააორმაგა და თურქეთიდან 19 წლის ბერქაი კანდანი არაჩვეულებრივი იყო. არასრული 28 წუთი, 36 ქულა, 10 მოხსნა (6 სხვის ზონაში), 16/11 სროლა ათიანში წავიდა. კანდანი ასრულებდა და თურქეთი ისვენებდა.

თურქეთმა ამბები 24 პასით დახურა. 24 გასული პასით და საქართველომ 10 დაიმი გასცა. კიდევ ერთი უხერხული შედარება. ყველაფერი შედარებითია და ეს რეალურად ცუდი იყო.

ესპანეთთან ძნელი იქნება. ძალიან ძნელი.

U 20 ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია. C ჯგუფი

თურქეთი-საქართველო 103:67 (25:16, 16:22, 26:12, 36:17)

თურქეთი: **კანდანი** (36+10 მ+3 პ+3 ჩ).

საქართველო: **სანაძე** (25+5 მ +2 პ), **ბურჯანაძე** (12+7 მ), **ალხანაიძე** (12+2 მ), **თენიეშვილი** (10), **ბოქოლიშვილი** (4), **ფხაკაძე** (2+5 პ), **როგავა** (2).

ბიარიცი ქვიშის რაგბის მასპინძლობს

გიგა გურასაშვილი

ქვიშის რაგბიში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე შარშან დაკავებული მეშვიდე შედეგის გაუმჯობესებას საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში შეეცდება. ქვიშაში მობურთალები FIRA AER-ის ეგიდით ჩასატარებელ ევროპის პირველობაზე 19 ივლისს გაემგზავრებიან.

ქვიშის (ან პლაჟის) რაგბი წლების განმავლობაში გასართობ დისციპლინად ითვლებოდა, მაგრამ მოგვიანებით მას პროფესიული სახე მიეცა. შარშან კი FIRA AER-ის ეგიდით გაიმართა ევროპის თასის პირველი გათამაშება, რომელიც მასპინძელთა - საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

წლეულს, რიგით მეორე გათამაშებაში, ათ ნაკრებს ელიან. მათ შორის, ირლანდიიდან, უელსიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, საქართველოდან. რა თქმა უნდა, მასპინძლებიც ადგილზე არიან.

ევროპის ჩემპიონატი სამ დღეში დასრულდება. პირველი დღე ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელ თამაშებს დაეთმობა. მეორე დღეს ჩატარდება ვაჟთა, ქალთა, ბავშვთა და ვეტერანთა ტურნირი. მესამე, დასკვნით დღეს კი ევროპის პირველობის ფინალური სტადიაა. თითოეული ჯგუფიდან ფლეი-ოფში ორი საუკეთესო გუნდი გადის. გუნდები რვა მოთამაშისგან შედგება - ძირითადის ხუთი და სათადარიგოს

სამი (შეცვლებში შეზღუდვა არ არის).

"შარშანდელისგან განსხვავებით, აქცენტს ვაკეთებთ იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც შიდა პირველობებში, ისე ახალგაზრდულ ნაკრებებში, -

ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მამუკა ტყეშელაშვილი. - ევროპაში ქვიშის რაგბი პოპულარულია და ბევრი მიმდევარი ჰყავს. ჩვენ კი პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. ასე რომ, ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს თამაში.

ევროპის ჩემპიონატზე მეორედ ვთამაშობთ. ძალიან გვინდა საქართველოში ახალგაზრდებს შორის ჩავატაროთ ტურნირები, რაც ნაკრების კანდიდატთა რიცხვის გაზრდაში დაგვეხმარება".

IRB უკვე განიხილავს ქვიშის რაგბიში პირველი მსოფლიო თასის ჩატარების საკითხს.

საქართველოს ქვიშის რაგბის ნაკრები: გიორგი ფრუიძე (აია), მურაზ გიორგაძე (პატარძეული), რევაზ ბროძელი (არმაზი), გიორგი ნათელაშვილი (რუსთავი), ვაჟა ხუციშვილი (რუსთავი), გიორგი აფციაური (არმია), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ილია მელაძე (აკადემია).

მწვრთნელი: მამუკა ტყეშელაშვილი

მენეჯერი: სანდრო ჟღენტი

გამომცემლობა
ინტელექტი

ჩანაწერები

20 წიგნი

გამოუქვეყნებელი
დღიურები

ცნობილი
ადამიანების უცნობი
ავტობიოგრაფიული
შტრიხები

ის, რასაც სხვაგან ვერ
წაიკითხავთ

დაგვიკავშირდით:
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge